ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი

ქართული ენა 3

მოსწავლის რვეული

მეორე ნაწილი

ანდაზეთი

1. **ყურადღებით წაიკითხე ტექსტი. მოცემული გამონათქვამები ჩასვი შესაბამის ადგილას:** გულზე შემოეყარათ, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ფიქრადაც არ მოსვლიათ.

კატოს და ვანოს სკოლის ავტობუსზე დააგვიანდათ, _____ , აღარ იცოდნენ, როგორ წასულიყვნენ სახლში. ვანომ თქვა, ტაქსით წავიდეთო. კატომ _____ , მარტო ტაქსში ჩაჯდომა არ შეიძლებაო. ის კი _____ , ეყოფოდათ თუ არა ხვალინდელი საუზმის თანხა სამგზავროდ.

2. **ამოწერე ტექსტიდან ანდაზები:**

იყო ერთი ცრუპენტელა კაცი. ხან სახანძროში რეკავდა ტყუილუბრალოდ და ხან – სასწრაფოში.

ერთხელ მარანში ხანძარი გაუჩნდა. ნათქვამია, ავ კაცს სიავე გზაში დაეწევაო. დარეკა კაცმა სახანძროში, მაგრამ ხმაზე იცნეს და ყურმილი დაუკიდეს.

– არიქა, მიშველეთ, მართალს ვამბობ! – ამტკიცებდა, მაგრამ, ნათქვამია, ტყუილის მთქმელს მართალსაც აღარ დაუჯერებენო.

კიდევ კარგი, მეზობლები მიეშველნენ და ხანძარი სახლსაც არ გადაედო. მარანი კი დაიწვა. მოთქვამდა და ბრაზობდა კაცი.

– ახლა რაღა გაბრაზებს?! ასეა, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, – უთხრა ერთმა მეზობელმა.